პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.ქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
ს.ა.ქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 19 მარტი, 1943 წ. № 65 (6690). ფასი 20 კაპ.

ვთესოთ მაღალხარისხოვანი თესლით

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ განვითარდა პატრიოტული მოძრაობა. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები არაფერს არ იშურებენ ვერაგ მტერზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე სრული გამარჯვების მოპოვებისათვის. ფრონტისადმი დახმარება მრავალნაირ ფორმას იღებს. ქობულეთისა და ლაგოდეხის რაიონებმა მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საუკეთესოდ ჩატარებისათვის, სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და შემტევი წითელი არმიისადმი ყოველმხრივი დახმარებისათვის. ქობულეთელთა და ლაგოდეხელთა ამ ინიციატივამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება უხვი, ბარაქიანი მოსავლის მისაღებად.

დადგა სოფლად ცხარე მუშაობის დრო. მაღალი მოსავლის საკითხი სწორედ ახლა წყდება. მთელი რიგი რაიონები უკვე შეუდგნენ საგაზაფხულო ხვნა-თესვას. კიდევ რამდენიმე დღე და თესვა ძასობრივად გაჩაღდება. სოფლის მეურნეობის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ვალია მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოები ჩაატარონ ორგანიზებულად და მიიღონ გაცილებით უფრო მაღალი მოსავალი გასულ წელთან შედარებით. „ყველასათვის გასაგებია, რომ თესვა წელს მინიმალურ ვადებში და მაქსიმალურად მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს“ (მ. ი. კალინინი).

უხვი სამხედრო მოსავლის მიღების ერთ-ერთი მძლავრი პირობაა მაღალხარისხოვანი თესლით თესვა. ამოცანა ის არის, რომ მთელი სათესი ფართობები უზრუნველვყოთ მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლით. თესვის მასობრივად დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სათესლე მასალის ყოველმხრივი მომზადებისათვის. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაისაბჭოების აღმასკომებს და რაიმოწვანების გამგეებს დაავალა სერიოზული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობების უზრუნველყოფას ყველა სახის საჭირო რაოდენობის თესლით. საჭიროა დავრაზმოთ მთელი ძალები პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

რაიონებმა უკვე დაამთავრეს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლის გამოყოფა, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თესლის გულდასმით მომზადება. ყველა კოლმეურნეობამ სასწრაფოდ უნდა დაამთავროს სათესლე მასალის გაწმენდა და თესლი აიყვანოს სრულ კონდიციამდე. ასპინძის, გორის, კასპის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და მათ უკვე დაამთავრეს თესლის დახარისხება. მთელი რიგი მოწინავე კოლმეურნეობები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს. მაგრამ ხაშურის, ქარელის, დუშეთის, თეთრი წყაროს და ბაშიჩეთის ზოგიერთ კოლმეურნეობებში ნელი ტემპებით სწარმოებს სათესლე მასალის დახარისხება. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მარცვალსაწმენდი მანქანები ცალკეულ კოლმეურნეობებში სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული და ნაკლები ყურადღება ექცევა თესლის ხელით გაწმენდას. ამ რაიონების სამიწათმოქმედო ორგანოები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს თესლის დახარისხების დაჩქარებაში. საჭიროა დათესვის წინ აუცილებლად ჩავატაროთ მარცვლეულ თავთავიან კულტურათა თესლის შეწამლვა.

ომიანობის ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარტოფილის უხვი მოსავლის მიღებას. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა წელს შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს, ყველა რეზერვი გამოიყენეს და სათესი ფართობები გაადიდეს. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალქალაქის, ადიგენის, წალკის, თიანეთის და სხვა რაიონებმა მთლიანად დაამთავრეს კარტოფილის სათესლე მასალის გამოყოფა. ახლა, როცა გაჩაღებულია კარტოფილის თესვა, არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, რომელსაც საკმაო რაოდენობით არ ექნება მომზარაგებული კარტოფილის თესლი.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან მებოსტნეობის კოლმეურნეობები. საბრძოლო ამოცანაა ჩვენს ქვეყანასა და გმირ წითელ არმიას მივცეთ ბოსტნეული სულ უფრო მზარდი რაოდენობით. ეს გვიკარნახებს უზრუნველყოთ ბოსტნეული კულტურების ნათესები მაღალხარისხოვანი თესლით. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მართებთ მცხეთის, თბილისის, ყარაიის და სხვა რაიონებს. საჭიროა მოეწყოს კოლმეურნეებისაგან კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესლის, განსაკუთრებით კომბოსტოს, სტაფილოს, ხახვისა და სუფრის ჭარხლის თესლის შესყიდვა, სადაც ის საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ. მთელი ეს მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ წელს მთლიანად უზრუნველვყოთ ბოსტნეული კულტურების თესლის გეგმის შესრულება ყველა კოლმეურნეობაში, ყველა ბრიგადაში, ბოსტნეულის ყველა სახის კულტურების მიხედვით.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანა მოითხოვს მთლიანად და გადამეტებით შეავსრულოთ საკვები კულტურების თესლის გეგმები. იქ, სადაც ამ საკითხის მოგვარებისათვის დროულად იზრუნეს, უკვე გამოყოფილია მრავალწლიანი ბალახების თესლი. ეს ითქმის გორისა და სხვა რაიონების შესახებ. საჭიროა დავაჩქაროთ საკვები ბალახების თესლის შეძენა და უზრუნველვყოთ საკვები კულტურების თესლის გეგმის დასახულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება.

ვთესოთ მაღალხარისხოვანი თესლით — ასეთია ომიანობის დროის საბრძოლო ამოცანა. ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა. მივცეთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას მეტი სურსათი და ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება საძულველ მტერზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ
18 მარტის დილის ცნობა

17 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. სადგურ იგორიევსკაიას სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა სოფელ დრონოგაისათვის ბრძოლაში 300-მდე ჰიტლერელი მოსპეს. ხელთ ვიგდეთ მტრის 3 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, 34 ტყვიამფრქვევი და 28 ათასი ვაზნა. მეზობელ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. გაჟღეტილია ასეულზე მეტი ჰიტლერელი, ხელთ ვიგდეთ დაცალა, ნათ შორის გერმანელთა 4 ტანკი და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

ქალაქ ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ და 32 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთი დასახლებული პუნქტის აღებისას 6 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 10 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 28 ტყვიამფრქვევი, ორი რადიოსადგური და რამდენიმე ათეული ზაზიდარი საომარ მასალიანად. სხვა უბანზე განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის 1 ბატალიონი ქვეითი ჯარი. ჩვენი ქვეგანაყოფების დარტყმების გამო გერმანელებმა 400-ზე მეტი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს ბრძოლის ველზე და უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

* * *

ჩუგუევის რაიონში გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები. 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის გაფთრებული იერიშები, კონტრიერიშზე გადავიდნენ და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტიდან განდევნეს გერმანელები. მოსპობილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა, წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს ჩვენი თავდაცვის სილრმეში შემოჭრილი მტრის 7 ტანკი და 100-მდე გერმანელი მეავტომატე.

* * *

სევსკის დასავლეთით გერმანელებმა არაერთხელ მოიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ ყოველთვის დიდი ზარალი მოსდიოდათ და უკუიქცეოდნენ. მოსპობილია მოწინააღმდეგის 11 ტანკი და სულ ცოტა ორი ასეული ქვეითი ჯარი.

* * *

ლვოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა თებერვალში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი. მარცხის დროს მოკლული და დაჭრილია მტრის 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ლვოვის ოლქის სხვა პარტიზანულმა რაზმებმა მოაწყეს მოწინააღმდეგის საწვავის ორი ეშელონისა და საომარ მასალათა სამი ეშელონის მარცხი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 585-ე ქვეითი პოლკის შტაბის ასეულის ჯარისკაცმა ფელიქს ვისოცკიმ განაცხადა: „მარშან დეკემბერში ჩვენი დივიზია საფრანგეთიდან რუსეთში გადმოიყვანეს. ჯარისკაცები დანაღვლიანებული იყვნენ. ოფიცრები ყოველ ზამას იღებდნენ, რათა გამეხნევებინათ თავიანთი ქვეგანაყოფები. ისინი ამბობდნენ, რომ სადაც ჩვენი დივიზია გაივლის, აღარაფერი გადარჩება, იქ ბალახიც კი ვეღარ ამოვაო. ასეთი გულდაჯერების შედეგები ფრიად საგალალო იყო. ჩვენნა პოლკმა ორი კვირის განმავლობაში დაჰკარგა პირადი შემადგენლობის 60 პროცენტი. ჩვენ საჭურველსა და სამხედრო ქონებას ვტოვებდით და უკან ვიხევდით. გაბოროტებული ჯარისკაცები და ოფიცრები მოსახლეობაზე იყრიდნენ ჯავრს. ოფიცრები ბრძანებას იძლეოდნენ გადაგვეწვა სახლები და თან გაგვერეკა მშვიდობიანი მცხოვრებნი. ჩვენი ასეულიდან მოსახლეობის განსაკუთრებით აბუჩად იგდებდნენ ეფრეიტორი მილნი, ჯარისკაცები კურცნანი და ლუტცი“.

* * *

როსტოვის ოლქიდან განდევნილმა გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ყველგან სისტემიან დანაშაულებათა კვალი დასტოვეს. დაბა ზერნოგრადში და სტანიცა მეჩეტინსკაიაში გერმანელებმა ამოსწყვიტეს კოლმეურნეთა და ნოსამსახურეთა მრავალი ოჯახი. ზერნოგრადში ჰიტლერელებმა მოჰკლეს საღამო სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი, ტყვავის, ყველის, კვერცხის და სხვ. დამზადების 1942 წლის გეგმები. მეცხოველეობის განვითარების გეგმები შესრულებულ იქნა გადაჭარბებით. კოლმეურნეები მზრდელ დასმარებას უწევენ ფრონტს. სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად გაიღეს 10.020.000 მანეთი.

ამ დღეებში ზუგდიდში ჩატარდა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. როგორც 400 კაცი დასესწრო. შეკრებამ მოისმინა მოხსენება 1942 წლის შედეგებისა და 1943 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ. შეკრებაზე რაიონული ჟურნალ-გაზეთების ... ...

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

ორდენოსანი პოლკის კომისარი ო. მუსერიძე

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის პოლკის კომისარი, ომარ დავითისძე მუსერიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

ამხ. ომარ მუსერიძე დაიბადა 1903 წელს სოფ. სადმელში (ამბროლაურის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. ადგილობრივი ორკლასიანი სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ ომარი სოფელში მეველად დადგა. შემდეგ ომარ მუსერიძე ბიძამ წაიყვანა კავკავში და ხელზე მოსამახურად დაიყენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ომარ მუსერიძე თბილისში იყო. 1922 წელს იგი მიღებულ იქნა კომკავშირის რიგებში. შემდეგ ხანები იგი მუშაობდა ზაჰესის მშენებლობაზე, ხოლო ბოლოს გადაყვანილ იქნა კომკავშირულ სამუშაოზე.

1925 წელს ამხ. მუსერიძე მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში, ამავე წელს იგი გაწვიეს წითელი არმიის რიგებში, სადაც მან ორ წელიწადს დაჰყო რიგითი წითელარმიელად. შემდეგ იგი, როგორც ზემოხსენები, გაგზავნეს სამეთაურო სკოლაში. 1931 წელს მან დაამთავრა ამიერ-კავკასიის ქვეითთა სკოლა და ამის შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს წითელი არმიის რიგებში. 1934 წელს ამხ. მუსერიძე სასწავლებლად გაგზავნეს ლენინგრადის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1937 წელს. აკადემიიდან იგი გაგზავნეს ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. სამამულო ომის დაწყებამდე ამხ. მუსერიძე მუშაობდა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსად. სამამულო ომის დაწყებისთანავე ამხ. ო. მუსერიძე მოქმედ არმიაშია.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტიდან ამხ. ო. მუსერიძე ცოლისადმი მოწერილ ერთ-ერთ წერილში სწერს:

„ჩვენმა ნაწილმა უკვე გაათავისუფლა რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი. ენა ვერ ასწერს იმ სისასტიკეს, რასაც ჰიტლერელები სჩადიოდნენ მათს მიერ დაკავებულ სოფლებში. ჩვენი მებრძოლები აღფრთოვანებული არიან გამარჯვებებით და მტერს ისე მისდევენ, რომ სულისმოთქმის საშუალებას არ აძლევენ“...

„ნოდარ, ჩემო შვილო! — სწერს მეორე წერილში ო. მუსერიძე თავის შვილს. — ალბათ წაიკითხავდი გაზეთებში, რომ ჩვენი წითელი არმია წინ მიიწევს და ურტყამს ფაშისტებს. გაიგებდი იმასაც, რომ მამაშენი მთავრობამ საბრძოლო ორდენით დაჯილდოვა ყველა ამის საპასუხოდ შენ ფრიადზე უნდა ისწავლო და სამშობლოსათვის გამოსადეგი კაცი გახდე“.

დ. ლოგთაძე

ორდენოსანი უფროსი სერჟანტი ო. მგალობლიშვილი

ოთარ გედეგანის-ძე მგალობლიშვილი, დაიბადა 1919 წელს სოფ. მარანში (აბაშის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. მშობლები მას ადრე არდაეცალა. პატარა ოთარი აღსაზრდელად აიყვანა მისმა ბიძამ. 1939 წელს ამხ. ო. მგალობლიშვილმა დაამთავრა მარნის საშუალო სკოლა. შემდეგ ის სამუშაოდ წაიყვანა ბიძამ აზერბაიჯანში და მოაწყო ხეტყის დამამზადებელ სამმართველოში ექსპედიტორად. აქ იგი შედის კომკავშირის რიგებში.

1942 წლის 12 თებერვალს ამხ. მგალობლიშვილი გაიწვიეს წითელ არმიაში. მან წარმატებით დაამთავრა უმცროს მეთაურთა სამთვიანი კურსები და უფროსი სერჟანტის ხარისხი მიენიჭა. 1943 წლის თებერვალში ამხ. ო. მგალობლიშვილი საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად იქნა მიღებული.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მან თავი ისახელა თავდადებული სიმამაცით, თავისი ქვემეხის გუნდის უნარიანი ხელმძღვანელობით. ამხ. მგალობლიშვილის ერთ-ერთ საბრძოლო ეპიზოდს № წითელარმიელი გაზეთი მოგვითხრობს:

„მდინარის მისადგომთან შენიღბა თავისი ქვემეხი უფროსმა სერჟანტმა მგალობლიშვილმა და თანამებრძოლები სათითაოდ შეამოწმა. დარწმუნდა რა ამხანაგების მზადყოფნაში, მტრის მხარე დურბინდით მოსინჯა... შეტევაზე მოდიოდნენ მტრის ტანკები. ლინი მდინარეზე გადმოსასვლელ გზაზე ჩაწყრიდნენ ხის ფოთლოვან ტოტებით შენიღბულნი. ახალგაზრდა მეომარი არ შეშინებულა. ჰიტლერელებმა ტანკებიდან შეუნელებელი ცეცხლი დაუშინეს, აკაკნდნენ მათი ავტომატებიც.

— ცეცხლი! — გაისმა მგალობლიშვილის ბრძანება. და რამდენიმე გასროლის შემდეგ მტრის მეწინავე ურიხლი დადუმდა. ახლა ამხანაგმა მგალობლიშვილმა მიზანი უკანტანკენ გადაიტანა, რომ მტრისათვის უკუქცევის საშუალება მოესპო და აქაც მიზანში ამოღებული ტანკი წყობილებიდან გამოიყვანა. მტერი შეიჭრა, მაგრამ მაინც შეეცადა წინ წამოსულიყო და თავისი ძლიერი ცეცხლი გადმოიტანა მგალობლიშვილის ქვემეხსაკენ. მაგრამ ამაოდ. ამხანაგმა მგალობლიშვილმა თავისი ქვემეხი წინასწარ მოხერხებულად მოწყობილ სათადარიგო საცეცხლე პოზიციაზე გადაიტანა და მოულოდნელი ცეცხლი შეაგება მტერს. მესამე ტანკის მოსპობის შემდეგ მტერმა პირი იბრუნა. პანიკურად უკუქცეულ კაციჭამიებს ულმობლად სცელავდნენ ჩვენი მეავტომატეები“.

ამხ. ო. მგალობლიშვილის მეორე საბრძოლო ეპიზოდი მოთხრობილია საქრადიოკომიტეტის მიერ რადიოთი მიღებულ და 1942 წლის 22 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში სათაურით: „ამიერკავკასიის ხალხთა შვილების მამაცობა“.

„ნალჩიკთან წარმოებულ ბრძოლებში თავიანთი საგმირო საქმით სახელი გაითქვეს ახალგაზრდა ქართველებმა—სერჟანტმა მგალობლიშვილმა და წითელარმიელმა კალანდიამ. ისინი ორნი დარჩნენ ქვემეხთან, რომელსაც მიბრჯენენ ესროდა გერმანელთა თერთმეტი ტანკი. ქვემეხის საცეცხლე პოზიციას ბომბებს უშენდა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი. საბჭოთა მებრძოლებმა დაჭრილი ამხანაგები საფარში გაგზავნეს, თვითონ კი განაგრძობდნენ სროლას. არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით დაზიანეს ფაშისტთა სამი ტანკი და თავისი ქვემეხის ცეცხლით დანარჩენ ტანკებს უკან დაახევინეს“.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი სერჟანტი ოთარ **მგალობლიშვილი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით.

ნ. კაკუშაძე

ლეპეფეგი

მდგომარეობა ზემო სავოიაში

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ ძირითადი ბირთვი პარტიზანებისა, რომელნიც ზემო სავოიის მთებში იმყოფებიან, შესდგება დაახლოებით 2.000 დემობილიზებული ფრანგი ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან. მათ უნდა მივუმატოთ სულ უფრო მზარდი რიცხვი ფრანგი ახალგაზრდობისა, რომელიც მთებში მიდის, რადგან ცდილობს გაექცეს გერმანიაში სამუშაოდ გაგზავნას. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მაროკოს რადიო იუწყება, რომ ფრანგი პატრიოტების წინააღმდეგობა ზემო სავოიაში უფრო ძლიერი ხდება, მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად ძნელია. ვიშის მოტორიზებული პოლიცია, რომელიც გაგზავნილი იყო პარტიზანთა წინააღმდეგობის ჩასახშობად, ახლა შეცვლილია გერმანელთა და იტალიელთა რაზმებით.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ, საფრანგეთის საზღვრიდან მიღებული ცნობებით, ფრანგმა პატრიოტებმა ზემო სავოიაში უარჰყვეს გერმანელთა ჯარების სარდლობისა და ვიშის პოლიციის ულტიმატუმი, რომლითაც მთებში ყველა გაქცეულს წინადადება ეძლეოდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა წინააღმდეგობა და ხელისუფალთა განკარგულებაში გამოცხადებულიყო.

ესენზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის გამო

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ახლა ცნობილი გახდა, რომ ესენზე თითოეულ უკანასკნელ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 400-ზე მეტი თვითმფრინავი.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 12 მარტს ღამით ესენის დაბომბვის შედეგად კრუპის ქარხანაში დაზიანებულია 34 საამქრო.

საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტისა და გენერალ ჟიროს გამოსვლისათვის

ლონდონი, 15 მარტი (საკდესი). ალიერის რადიო იუწყება, რომ გენერალმა ჟირომ თხოვნით მიმართა საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის წარმომადგენელ გენერალ კატრუს აცნობოს გენერალ დე გოლს, რომ იგი მზად არის შეხვდეს გენერალ დე გოლს, „რათა კონკრეტული ხასიათი მიეცეს ფრანგთა გაერთიანებას“.

„მე გენერალ დე გოლს განვუცხადე კასაბლანკაში,—სწერს ჟიროო, — რომ საჭიროა შეთანხმება. დადგა მომენტი ყველა პატიოსანი ფრანგის გაერთიანებისათვის“.

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დე გოლმა მიიღო ჟიროს, მიწვეულ—შეხვდეს მას უახლოეს ხანში ჩრდილოეთ აფრიკაში იმ პირობით, რომ მდგომარეობა ჩრდილოეთ აფრიკაში წინანდებურად დამაკმაყოფილებლად განვითარდება.

ჩერჩილის პასუხი თემთა პალატაში მიცემულ კითხვებზე

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილს თემთა პალატაში მისცეს კითხვა, გამოხატავს თუ არა მთავრობის პოლიტიკას კოლონიების მინისტრის სტენლის განცხადება იმის შესახებ, რომ დიდმა ბრიტანეთმა შემდეგშიც უნდა აკისროს პასუხისმგებლობა თავისი კოლონიების მართვისათვის. (6 მარტს ოქსფორდის კონსერვატიული ასოციაციის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში სტენლიმ განაცხადა თავისი უთანხმოება იმ თეორიასთან, რომ კოლონიებს საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა მართავდესო. მან სთქვა, რომ პასუხისმგებლობა თავისი კოლონიების მართვისათვის მარტო დიდ ბრიტანეთს აკისრიაო).

ჩერჩილმა დადებითად უპასუხა ამ კითხვაზე. მთავრობა, განაცხადა მან, დარწმუნებულია იმაში, რომ ინგლისის კოლონიების მართვისათვის პასუხისმგებლობა მარტო ერთმა დიდმა ბრიტანეთმა უნდა აკისროს. მთავრობის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გაითვალისწინოს კოლონიების მაქსიმალურად შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარება ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში, მეზობელ და მეგობრულ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ესენზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის გამო

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ახლა ცნობილი გახდა, რომ ესენზე თითოეულ უკანასკნელ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 400-ზე მეტი თვითმფრინავი.

საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტისა და გენერალ ჟიროს გამოსვლისათვის

ლონდონი, 15 მარტი (საკდესი). ალიერის რადიო იუწყება, რომ გენერალმა ჟირომ თხოვნით მიმართა საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის წარმომადგენელ გენერალ კატრუს აცნობოს გენერალ დე გოლს, რომ იგი მზად არის შეხვდეს გენერალ დე გოლს, „რათა კონკრეტული ხასიათი მიეცეს ფრანგთა გაერთიანებას“.

„მე გენერალ დე გოლს განვუცხადე კასაბლანკაში,—სწერს ჟიროო, — რომ საჭიროა შეთანხმება. დადგა მომენტი ყველა პატიოსანი ფრანგის გაერთიანებისათვის“.

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დე გოლმა მიიღო ჟიროს, მიწვეული—შეხვდეს მას უახლოეს ხანში ჩრდილოეთ აფრიკაში იმ პირობით, რომ მდგომარეობა ჩრდილოეთ აფრიკაში წინანდებურად დამაკმაყოფილებლად განვითარდება.

ჩერჩილის პასუხი თემთა პალატაში მიცემულ კითხვებზე

ლონდონი, 18 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილს თემთა პალატაში მისცეს კითხვა, გამოხატავს თუ არა მთავრობის პოლიტიკას კოლონიების მინისტრის სტენლის განცხადება იმის შესახებ, რომ დიდმა ბრიტანეთმა შემდეგშიც უნდა აკისროს პასუხისმგებლობა თავისი კოლონიების მართვისათვის. (6 მარტს ოქსფორდის კონსერვატიული ასოციაციის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში სტენლიმ განაცხადა თავისი უთანხმოება იმ თეორიასთან, რომ კოლონიებს საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა მართავდესო. მან სთქვა, რომ პასუხისმგებლობა თავისი კოლონიების მართვისათვის მარტო დიდ ბრიტანეთს აკისრიაო).

ჩერჩილმა დადებითად უპასუხა ამ კითხვაზე. მთავრობა, განაცხადა მან, დარწმუნებულია იმაში, რომ ინგლისის კოლონიების მართვისათვის პასუხისმგებლობა მარტო ერთმა დიდმა ბრიტანეთმა უნდა აკისროს. მთავრობის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გაითვალისწინოს კოლონიების მაქსიმალურად შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარება ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში, მეზობელ და მეგობრულ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ჰელი ჩერჩილის განცხადების შესახებ

ვაშინგტონი, 18 მარტი (საკდესი). ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა შემდეგი ოფიციალური განცხადება გააკეთა:

„ჩერჩილმა თემთა პალატაში გააკეთა მეტად მნიშვნელოვანი განცხადება, რომელშიც იგი მხურვალედ მიესალმა და მოიწონა 14 მარტს ჟიროს მიერ წარმოთქმული სიტყვა. ა. შ. შტატების მთავრობა მთლიანად იზიარებს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ამ დროულსა და დიდებულ განცხადებას და ღრმა კმაყოფილების გრძნობით უთუოდ იწონებს ფრანგთა ერთობის მიღწევის გზაზე გადადგმულ ამ ახალ ნაბიჯს“.

უცხოეთის ქრონიკა

საფრანგეთში ჰიტლერელთა თარეშის განმავლობაში კატასტროფულად გაიზარდა სხვადასხვა დაავადებათა რაოდენობა. ფართოდ არის გავრცელებული, კერძოდ, მუნი. საშრში მასშტაბი მიიღო ტუბერკულოზით დაავადებამ. აშკარად შემცირებული ცნობებითაც კი, საფრანგეთში ამჟამად ერთი მილიონი კაცია დაავადებული მწვავე ფორმის ტუბერკულოზით.

ჰიტლერელმა ოკუპანტებმა ჰოლანდია თავის კოლონიად გადააქციეს. თებერვლის დამლევს მათ დააპატიმრეს ბევრი ჰოლანდიელი სტუდენტი და მძევლებად წაიყვანეს 1.000 კაცი, ნახევარი მილიონი ჰოლანდიელი ძალით გაპგზავნეს გერმანიაში სამუშაოდ.

რკინიგზის ლიანდაგის დიდი ნაწილი აფრილია, ხოლო რელსები გატანილია გერმანიაში.

(საკდესი).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. ბენედიქტოვის ბრძანებით ნიშნად — **„სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“** დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდეგი მუშაკები:

აბუსელიძე ფადიმე მამუდის-ასული—ქობულეთის რაიონის კიროვის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **აგრბა** ცაცა დაკოს-ასული — გუდაუთის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ახალაძე** სერაპიონ პავლეს-ძე — ქუთაისის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **არეკავე** მიხეილ ვასილის-ძე—ორჯონიკიძის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი; **ადუაშვილი** არსენ ილიას-ძე — ბაშკინეთის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ალუაშვილი** ბეგლარ ლეონის-ძე—ბაშკიჩეთის რაიონის, მე-17 პარტყრილობის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ალუაშვილი** არაქელი ავსენის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის ახალგაზრდობის კომინტერნის სახ. კოლმეურნეობის მეხბორე; **აბრამიშვილი** შუშანა პეტრეს-ასული — ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ კოლმეურნე; **ანტონიანი** ბენიამინ აკოფის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ბალაბრიშვილი** ნიკოლოზ ზაქარიას-ძე—თელავის რაიონის აკაკ სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ბაკაშვილი** ზაქარია მალაქიას-ძე —სიღნაღის რაიონის კეცხოველის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ბლაძე** ივანე ალექსანდრეს-ძე — ბორჯომის რაიონის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ბურდალაძე** სიმონ გიგოს-ძე—ონის რაიონის 25 ოქტომბრის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ბერკაძე** არნილ სოლომონის-ძე — ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ კოლმეურნე; **ბიგვავა** ციცინო თედორეს-ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა — „პირველი მაისის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ბუტბაია** დეკალა კონტოს-ასული — გალის რაიონის კოლმეურნეობა „გიგანტის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ბარდაველიძე** გაიოზ კონსტანტინეს-ძე—ჩხარის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ბუღაშვილი** ლიზა ნესტორის-ასული — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ვარდანიძე** გრამატონ ნოეს-ძე — წყალტუბოს რაიონის წულუკიძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ვართანეანი** ვიჩიგან მინასის-ძე —ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ კოლმეურნე; **გაბელია** შერა ვლადიმერის-ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **გოგშელიძე** ანტონ დარჩის-ძე — გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **გოგიბერიშვილი** ერასტი პეტრეს-ძე—გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **გოგიტიძე** აიზე ქემალის-ასული — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **გოგორა** ამბაკო გაიოზის-ძე—წალენჯიხის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე; **გოგოლაძე** ვასილ ალექსანდრეს-ძე ხაშურის რაიონის 21 იანვრის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **გელაშვილი** ტიტე ალექსანდრეს-ძე—ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ კოლმეურნე; **გეზბეი**-აუკოვი მიხეილ გიორგის-ძე თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობა „ზარია ვოსტოკის“ კოლმეურნე; **გასპარიანი** მიხაკ ბაგდასარის-ძე —ბოგდანოვკის რაიონის ტერიანის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **გერაშენკო** ვასილ ანდრიას-ძე — ლაგოდეხის რაიონის ბუდიონის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ჭიშინაძე** დოდიკა დომენტის-ასული — ქობულეთის რაიონის ანდრეევის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **დემერჩევა** მარიამ ანესტის-ასული—ქობულეთის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **დარახელია** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ ბრიგადირი; **ჯაბუა** ფედოსია ფარნას-ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ჯიქია** ოლღა ივანეს-ასული—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ჯიშკარიანი** პაუსია ვლადიმერის-ასული — ხობის რაიონის კოლმეურნეობა „ნოტეს“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ძიძარია** მაშიკო . დავითის-ასული —წალენჯიხის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ძაძამია** თამარ მიხეილის-ასული — წალენჯიხის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ძაძამია** ეუფა ბესიერიონ-ასული—წალენჯიხის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ჯენია** ხადემატი ხაბიხოს-ძე —გუდაუთის რაიონის ედანოვის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ჯაფარიძე** ემელიკო ბიჭიას-ძე — ზესტაფონის რაიონის წულუკიძის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ძოწენიძე** ვანიკო გერასიმეს-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ ბრიგადირი; **დანელია** ანა პავლეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **დანელია** ნინო იპანეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **დაბრუნდაშვილი** იაგორ გარსევანის-ძე — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „მომავლის“ კოლმეურნე; **დემეტრაშვილი** ნინო აბელის-ასული—თეთრი წყაროს რაიონის ბაჭრაძის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ჯანიაშვილი** ალექსი დავითის-ძე—სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „მისწრაფების“ კოლმეურნე; **ჯავაშვილი** იოსებ პირსონის-ძე — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის იმედის“ კოლმეურნე; **ეფენია** ეზარ დიმიტრის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ ბრიგადირი; **ეფემია** ბეგო სანდროს-ძე—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ ბრიგადირი; **კირაკოსიანი** სიმონ ალექსანდრეს-ძე—ბოგდანოვკის რაიონის ანდრეევის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **კობიაშვილი** ნიკოლოზ იოსების-ძე — თელავის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ყარაულაშვილი** ალექსი ნიკოლოზის-ძე — თელავის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ქარჩავა** პლატონ სოფრომის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ ბრიგადირი; **ქირია** ელიზბარ ბაკოს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ცაცხვის“ რგოლის ხელმძღვანელი; **ყალიჩავა** ვენერა ესტატეს-ასული —ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კილაძე** ქეთო ფილიპეს-ასული — ლანჩხუთის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კვეკვეხკორი** ტანია ერასტეს-ასული —გალის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კვარაცხელია** ბოჩო იოსების-ძე — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კვარაცხელია** გაიანე მიხეილის-ასული—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კვარაცხელია** კოკოია ანგის-ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კუპატაძე** კონსტანტინე დიმიტრის-ძე—ზესტაფონის რაიონის ანდრეევის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ქელბაქიანი** ოლღა ამბაკოს-ასული — წულუკიძის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კუბავა** ნაზია პლატონის-ასული—ცხაკაიის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კოკნაძე** ალექსანდრე მიხეილის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის სტივის“ ბრიგადირი; **ქუთაითელაძე** სილოვან იაკობის-ძე — წყალტუბოს რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი; **ყურშუბაძე** უმიანა დაუთის-ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **კაკაბაძე** ხატიჯე იბრაგიმის-ასული — ქობულეთის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **მგალობლიშვილი** კაპიტონ მარკოზის-ძე — ზუგდიდის რაიონის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **მხეიძე** ულვეტა ხასანის-ასული—ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **მანჩხაშვილი** ნიკოლოზ ალექსის-ძე—ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ კოლმეურნე; **მახარაშვილი** იოსებ აკაკის-ძე—ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „მშრომელი გლეხის“ კოლმეურნე; **მიკირტუმაშვილი** გიორგი არტემის-ძე—თეთრი წყაროს რაიონის ბაჭრაძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **მარკოსიანი** მინას სტეფანეს-ძე —ბოგდანოვკის რაიონის ანდრეევის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **მთიშვილი** ივანე ფრიგოლის-ძე — სიღნაღის რაიონის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **მოდებაძე** აგაბო ივანეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **მაისურაძე** ივანე ოქროს-ძე—ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **მელიქაძე** ივანე იაკობის-ძე—თბილისის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ნამგალაძე** ალექსანდრე ივანეს-ძე—თბილისის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ფიფია** გერასიმე ისლამის-ძე—წალენჯიხის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე; **ფიფია** გიორგი პახვალის-ძე—ზუგდიდის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის ბრიგადირი.

(**გაგრძელება იქნება**)

მოსწავლეთა დაჯილდოება მინდვრის სამუშაოებში მონაწილეობისათვის

1942 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში საქართველოს მთელმა რიგმა სკოლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

რესპუბლიკის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში 1942 წელს მონაწილეობა მიიღო 100.000 მოსწავლემ და საშუალო სკოლის 6.000 მასწავლებელმა, რომელთაც ექვს მილიონამდე შრომადღე გამოიმუშავეს და ამით დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებაში.

თავიანთი მაღალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ზუგდიდის, ონამ, ჩირის, გეგეჭკორის, ჭიათურის, ლანჩხუთის, წალენის და სხვა რაიონების სკოლები. ჭიათურის (ზუგდიდის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გამოიმუშავეს 8.880 შრომადღე, აქედან თითოეულ მოსწავლეზე მოდის 137,5 შრომადღე.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლების სახალხო კომისარიატმა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს მინდვრის სამუშაოებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობა და დაჯილდოვეს ლიტერატურითა და სასწავლო კაბინეტებით 22 სკოლა. გარდა ამისა, დაჯილდოებულია 27 მასწავლებელი და 10 რაიონის განათლების განყოფილების გამგე. 41 მოსწავლეს, რომლებმაც ყველაზე მეტი შრომადღეები გამოიმუშავეს, მიეცა სიგელები. სასწავლო კაბინეტებითა და ლიტერატურით დაჯილდოებულ იქნენ ზუგდიდის რაიონის ჭითაწყაროს საშუალო სკოლა (დირექტორი გვათუა), ბურჯანაძის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლა (დირექტორი უ. ულუმბერაშვილი) წალკის რაიონის კირიაკის არასრული საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. ანტონიადი) და სხვები.

მოსწავლეთა ბრიგადებისათვის სანიმუშო ხელმძღვანელობის გაწევისა და შრომადღეების გამომუშავებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის სიგელებით დაჯილდოებულ იქნენ ჭიათურის რაიონის ჩხირაულის საშუალო სკოლის მასწავლებელი კაპანაძე, რომელმაც 400 შრომადღე გამოიმუშავა, საგარეჯოს რაიონის სართიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელი ანტონ ბადმევი, რომელმაც კომბაინის მართვა შეისწავლა და 311 ჰექტარზე აიღო მოსავალი.

სიგელებით დაჯილდოებული არიან შემდეგი მოსწავლეები: მე-7 კლასის მოსწავლე ცვარია ანთ